ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება # 24

ქ. ცაგერი 31 მაისი 2011 წელი

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი უმწეოთა სასადილოებში არსებული მდგომარეობის შესახებ

---

1. ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი უმწეოთა სასადილოებში არსებული მდგომარეობის შესახებ მიღებული იქნას ცნობად.
2. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის უფროსს (გ. ლიპარტელიანი) შესაბამის სამსახურებთან ერთად, იზრუნოს უმწეოთა სასადილოებში არსებული პრობლემების უმოკლეს დროში მოგვარებაზე.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: მამუკა ლეთოდიანი

ინფორმაცია

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი უმწეოთა სასადილოებში არსებული მდგომარეობის შესახებ

2011 წლის 17 თებერვალს ჩატარდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი უმწეოთა სასადილოების მომსახურებაზე, რომელშიც გაიმარჯვა ი/მ ლაშა კვირიკაშვილმა. ტენდერით გათვალისიწნებულია 90 ბენეფიციარის მომსახურება, 22 ბენეფიციარი სოფ. ლაჯანაში და 68 ბენეფიციარი ქ. ცაგერში. გათვალისწინებულია ასევე, მოძრაობა შეზღუდული ბენეფიციარების ბინაზე მომსახურება. სასადილოები ფუნქციონირებას შეუდგა 21 თებერვლიდან.

გასულ წელთან შედარებით გაზრდილია სასადილოების დაფინანსება, შესაბამისად გაუმჯობესებულია მენიუ, რამაც გამოიწვია ბენეფიციართა კეთილგანწყობა. შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან გ. კვირიკაშვილი_ გამგებლის მოადგილე, გ. ლიპარტელიანი _ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, გ. ახვლედიანი_ საფინანსო სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კ. კოპალიანი_ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მონიტორინგის ჯგუფის მიერ სისტემატურად ხორციელდება სასადილოების, როგორც მენიუს, ასევე ბენეფიციარების გამოცხადებისა და ბინაზე მომსახურეობის შემოწმება. დღეის მონაცემებით სასადილოებში რაიმე სახის დარღვევა არ დაფიქსირებულა.

სასადილოების ყოველდღიურ მონიტორინგებს ანხორციელებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სპეციალისტი მ. კოპალიანი.

რაც შეეხება უმწეოთა სასადილოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მეტნაკლებად მოწესრიგებულია. ქ. ცაგერის უმწეოთა სასადილო მდებარეობს ყოფილი საგზაო სამმართველოს შენობაში, რომელიც დაყადაღებულია და იქმნება სერიოზული პრობლემები კომუნიკაციის მოგვარებაში, კერძოდ სასადილოს ელექტრო ენერგიისა და წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ დღემდე შემოდის მოქალაქეთა განცხადებები უმწეოთა სასადილოში გაწევრიანების მოთხოვნით, რაც ვერ ხერხდება იმის გამო, რომ პროექტი გათვლილია 90 ბენეფიციარზე და ის სრულად შევსებულია.